**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

18 დეკემბერი 2024

N 01/1/2238

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით **შპს „ჰიდროპროექტის“ მიერ წარდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ ბიწმენდში მდ. ახატანის რკ/ბეტონის ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტის სკრინინგის ანგარიშის განცხადება.**

სკრინინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა უზრუნველყოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2024 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 4 ფაილი (ელექტრონული ვერსია)

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

https://edocument.ge/mea/public/#/2238-01/1-2-202412181027

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE